COLLEGE

მარნეულის კოლეჯი

COLLEGE OF MARNEULI

შპს მარნეულის კოლეჯის პერსონალის კმაყოფილების დონისა და საჭიროებათა კვლევის ანგარიში

2020-2021 სასწავლო წელი

კვლევის ანგარიში მომზადებულია შპს მარნეულის კოლეჯის ხარისხის მართვის ხელმძღვანელის, -შორენა ალაგარდაშვილის მიერ.

http://www.mc.edu.ge

სტრუქტურა

1. საკვლევი საკითხი; კვლევის მიზანი; მეთოდოლოგია; სამიზნე ჯგუფი
2. თემის აქტუალობა
3. კვლევის შერჩევა
4. • კვლევის მონაცემები
5. დასკვნა
6. კვლევის მიგნებები

საკვლევი საკითხი

- შპს მარნეულის კოლეჯის პერსონალის კმაყოფილების დონის და საჭიროების დადგენა

კვლევის მიზანი

- კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალის და მასწავლებლების კმაყოფილების დონის დადგენა;
- კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალის და მასწავლებლების საჭიროებების დადგენა;

კვლევის მეთოდი, ინსტრუმენტი

- მეთოდი: შერეული კვლევა (თვისობრივი, რაოდენობრივი)
- რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტი: კითხვარი
- თვისებრივი კვლევის ინსტრუმენტი: ფოკუს ჯგუფი საორიენტაციო კითხვები.

სამიზნე ჯგუფი

- კოლეჯის პერსონალი - მასწავლებელი და ადმინისტრაცია;

თემის აქტუალობა

საგანმანათლებო სივრცეში იმისათვის, რომ დაწესებულებამ მიაღწიოს თავის გრძელვადიან თუ მოკლევადიან მიზნებს და შეასრულოს ის ფუნქციები რისთვისაც არის შექმნილი და მოწოდებული, სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალს, იქნება ეს ადმინისტრაციული თუ აკადემიური. ამ მხრივ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება არ წარმოადგნეს გამონაკილისს, შპს მარნეულის კოლეჯი კვლევის ფარგლებში ინტერესდება და იკვლევს, როგორც პერსონალის საჭიროებებს ასევე, მათი კმაყოფილების დონეს, რაც უმნიშვნელოვანეს ცვლადს წარმოადგენს ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფისთვის.

კვლევის შერჩევა

კვლევისთვის საჭირო ცდის პირების შერჩევა მოხდა ორი მიმართულებით:

ა) რაოდენობრივი კვლევისთვის შერჩევა მოხდა - მოდულის განმახორციელებლებისგან - სულ მცირე ერთი მასწავლებელი.

ბ) თვისებრივი კვლევისთვის შერჩევა მოხდა ადმინისტრაციული პერსონალიდან და მასწავლებლებიდან. დაფორმირდა ორი ფოკუს ჯგუფი:

- ადმინისტრაციული პერსონალის ფოკუს ჯგუფში შერჩევა მოხდა ყველა საშუალო რგოლის მენეჯერის - სულ 5 წევრი;
- მასწავლებლების ფოკუს ჯგუფის - შემთხვევაში შერჩევის პრინციპით, სულ 7 მასწავლებელი სხვადასხვა პროგრამიდან.

კვლევის მონაცემები

კვლევაში მონაწილეობა მიიღო სულ 25 პირმა:

- 20 პროფესიული განათლების მასწავლებელმა; 5 ადმინისტრაციულმა პერსონალმა;
- კვლევა ხორციელდებოდა 2020-2021 სასწავლო წლის მანძილზე.

კვლევის მონაცემები

რაოდენობრივ კვლევაში მონაწილე პირთა უმრავლესობა აცხადებს, რომ იცნობენ სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს (19 პირი), 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმას და ერთწლიანი სამოქმედო გეგმას (15 პირი), ასევე შინაგანაწესს (18 პირი).



კვლევის მონაცემები

კვლევის ფარგლებში იმ პირებს, რომელებმაც განაცხადეს, რომ იცნობდნენ სტრატეგიული განვითარების გეგმას, სამოქმედო გეგმას და შინაგანაწესს, თითოეულ მათგანზე უნდა დაესახელებინათ, რა სახის ინფორმაციას მოიცავს ისინი



კვლევის მონაცემები

- გამოკითხულ პირთაგან 18 ასახელებს, რომ იცნობს შპს მარნეულის კოლეჯის მიერ მათთვის მინიჭებულ და მათზე დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს.
- 14 პირმა შეძლო დაესახელებინა დაკისრებული მოვალეობები და საკუთარი უფლებები ზოგადი ხასიათის აღწერილობით.
- მასწავალებლებს, ასევე პასუხი უნდა გაეცათ კითხვაზე, იცნობდნენ თუ არა სახდელების სახეებს, რომელსაც კოლეჯი რეგულაციების მიხედვით იყენებს მოვალეობის არ/ვერ შესრულების შემთხვევაში, 15 პირმა დაადასტურა ამგვარი ინფორმაციის ფლობა.

კვლევის მონაცემები

მასწავლებლებს კვლევის ფარგლებში უნდა აღეწერათ ერთი სამუშაო დღე კოლეჯში

- იკვეთება, რომ მასწავლებლებს არაერთგვაროვანი დამოკიდებულებები აქვთ სასწავლო და სამუშაო პროცესებთან დაკავშირებით.
- მასწავლებლების პასუხის ფოკუსი იყო მხოლოდ სასწავლო პროცესი
- მხოლოდ რამოდენიმე მასწავლებელი ასახელებდა თანამშროლებითი კომპონეტების საკითხსაც, მასსა და კოლეგებს შორის.

ფოკუს ჯგუფში შემავალი მასწავლებლები საუბრობენ, რომ იცნობენ კოლეჯის მარეგულირებელ წესებს, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს:

- უჭირთ კონკრეტული საკითხების დასახელება თუმცაღა ზოგადად ახერხებენ დოკუმეტების მიხედვით იქ არსებული ინფორმაციის დასახელებას.

კვლევის მონაცემები

კვლევის ფარლგებში, მასწავლებლებს უნდა გაეხსენებინათ სასწავლო წლის დაწყებამდე პერიოდი, და დაესახელებინათ რა მოსამზადებელ სამუშაოებს ახორციელებენ:

- მოდულების გაცნობა
- კალენდარული გეგმების შედგენა,
- შეფასების ინსტრუმენტების გაცნობა და საჭიროებისამებრ ცვილებების შეტანა.
- ერთი მასწავლებელი: ყოველი სასწავლო წლის ბოლოს თავიდან უბრუნდება განვლილ მოდულს და ერთგვარ აკეთებს საკუთარი თავის, მოდულის სწავლების და სტუდენტების მიერ შესწავლილი და დადასტურებული ცოდნის უკუკავშირს.

კვლევის მონაცემები

კვლევის ფარგლებში ცდის პირებს უნდა დაესახელებინათ არის თუ არა მათი პროგრამა უზრუნველყოფილი სათანადო ლიტერატურით, არიან თუ არა თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობისთვის საჭირო სასწავლო მასალით და რესურსებით უზრუნველყოფილნი.

- გამოკითხულთა 100% დაასახელა, რომ ისინი უზრუნველყოფილნი არიან ან ნაწილობრივ მაინც საჭირო რესურსებით
- ხოლო გამოკითხული მასწავლებლებიდან 16-მა დაასახელა, რომ ისინი იყენებ კოლეჯის ბიბლიოთეკის რესურსს და კონკრეტულად მათთვის საინტერესო მოდულისთვის განკუთვნილ სახელმძღვანელოებს.

კვლევის მონაცემები

კვლევის ფარგლებში, მასწავლებლების გამოკითხვა მოხდა მათ მიერ საკუთარი უფლებების გამოყენების, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და სწავლების პროცესში ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებასთან დაკავშირებით

16-მა უპასუხა, რომ უზრუნველყოფილია კუთვნილი შვებულებით და უქმე დღეებში დასვენებით, ყველა აცხადებს: კოლეჯში დაცულია სანიტარულ-ჰიგინური და უსაფრთხოების ნორმები

ყველამ აღნიშნა, რომ წინასწარ გეგმავენ სასწავლო პროცესს, თუმცა მხოლოდ 4-მა დაასახელა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გასათვალისწინებელი საკითხები და ეტაპები

19 მასწავლებელმა განაცხადა, რომ იყენებს ინტერაქტიულ მეთოდებს, თუმცაღა კონკრეტულად მხოლოდ ერთმა მასწავლებელმა დაასახელა: „დისკუსია, როლური თამაში“

19 მასწავლებელმა განაცხადა, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებს, მათგან მოლოდ 6 დაასახელა ერთზე მეტი აქტივობა რასაც იყენებენ

კვლევის მონაცემები

- ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა ისაუბრეს მათთვის პრიორიტეტულ საკითხებზე რასაც აუცილებლად ითვალისწინებენ: სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, სასწავლო გარემოს შერჩევისას და დაესახელებინათ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების მაგალითები.

სასწავლო პროცესის დაგეგმვისას	სასწავლო გარემოს შერჩევისას	თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების მაგალითები
• ინფორმაციის უტყურობა და ხელმისაწვდომობა მანამ სანამ სტუდენტებთან შევლენ და დავალებას მისცემენ ან ახსნიან მასალას	• 7 მასწავლებელმა დაასახელა თემატიკიდან გამომდინარე ისეთი აუდიტორიის არჩევა, რომელიც ტექნიკურად იქნებოდა აღჭურვილი	• 18 მასწავლებელმა აღნიშნა, რომ იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს • ვერცერთმა მათგანმა მოიყვანა გამოყენების მაგალითი • 4-მა სწორად დაასახელა გამოსაყენებელი ინვენტარი • 12 ასახელებს, რომ ტექნოლოგიებს იყენებს ხშირად ან ძალიან ხშირად

კვლევის მონაცემები

კვლევაში მონაწილე პირებს უნდა ეპასუხათ კითხვაზე: საჭიროებენ თუ არა კოლეჯის ადმინისტრაციისგან ხელშეწყობას დაკისრებული სამუშაოს შესრულების პროცესში

- 12 მასწავლებელმა თანხმობა განაცხადა მსგავსი საჭიროების არსებობის შესახებ;
- საჭიროებების კუთხით ძირითადად დასახელდა სტუდენტებთან კომუნიკაცია, თავისუფალი სამუშაო გრაფიკი, სასწავლო მასალები;
- ერთერთი მასწავლებლის მიერ საჭიროებების კუთხით დასახელებულ იქნა „გამოცდილების გაზიარების მიზნით ტრენინგებზე დასწრება“;

კვლევის მონაცემები

კვლევაში მონაწილე მასწავლებლებს ტრენინგების საჭიროების კუთხითაც უნდა დაეფიქსირებინათ საკუთარი აზრი სურდათ თუ არა მეთოდოლოგიური ტრენინგების/სამუშაო შეხვედრების ჩატარება საჭიროებების მიხედვით



კვლევის მონაცემები

14 მასწავლებლის მიერ დასახელებული ტრენინგების საჭიროება მიმართულების მიხედვით

კვლევის მონაცემები

- ფოკუს ჯგუფის მონაცემებით ერთხმად დასახელდა ტრენინგების საჭიროება და აუცილებლობა წელიწადში ორჯერ მაინც, რომ სიახლეები იქნება დარგობრივი თუ სწავლების კუთხით მათ ჰქონდეთ წვდომა და შესაძლებლობა გამოიყენონ საკუთარ პრაქტიკაში.
- კონკრეტულად ტრენინგების საჭიროება კომპიუტერულ ტექნოლოგიების მიმართულებით დასახელდა;
- აღინიშნა, რომ მათ არაერთხელ ჰქონდათ ამ მიმართულების ტრენინგები მაგრამ კიდევ საჭიროებენ სასწავლო პროცესის მრავალფეროვნებისთვის და მითუმეტეს დისტანციური სწავლების დროს.

კვლევის მონაცემები

კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონლის მიერ ფოკუს ჯგუფში დასახელებულ იქნა პროფილური მიმართულების ტრენინგების საჭიროება:

- არქივთან დაკაშვირებული ტრენინგი;
- პროფ.ორიენტაციასთან დაკავშირებული ტრენინგი
- და ასევე როგორც ადმინისტრაციული პერსონალი ვისაც მუდმივად აქვს შეხება მასწავლებლებთან დაასახელეს, რომ მასწავლებლები საჭიროებენ კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართულებით ტრენინგების ჩატარებას

კვლევის მონაცემები

კვლევის პროცესში ხარისხის მართვის სამსახურს გათვალისწინებული ჰქონდა ერთერთი მნიშვნელოვანი საკითხი პერსონალის ინიციატივების და მათი წახალისების მიმართულება

- კვლევაში მონაწილე მასწავლებლებთაგან მხოლოდ 4 მათგანს მიუმართვას ადმინისტრაციისთვის ინიციატივით პროექტთან, ღონისძიებასთან ან ტრენინგებთან დაკავშირებით
- მხოლოდ ერთი მასწავლებლის მიერ დასახელდა სწორად ინიციატივის წარდგენის მაგალითი, კერძოდ: *„კოვიდინფექციით დასნებოვნებისა და გავრცელების პრევენციის მიზნით, კოლეჯის თანამშრომლებისა და სტუდენტებისათვის ინფორმაციული სემინარის ჩატარება“.*
- გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები არ ფლობენ და ვერ იგებენ რას ნიშნავს ინიციატივების წარდგენა კოლეჯის ადმინისტრაციასთან.

კვლევის მონაცემები

პერსონალის წახალისებასთან დაკავშირებით განსხვავებული მონაცემები გამოიკვეთა

მასწავლებლები

- 13 მასწავლებელი არ იცნობს წახალისების ფორმებს;
- ხოლო 7 მასწავლებელიდან ვინც ამბობს, რომ იცის წახალისების ფორმები, მხოლოდ 5 ასახელებს კრიტერიუმებს რის მიხედვითაც ხდება პერსონალის შეფასება მისი წახალისების მიზნით.

ადმინისტრაციული პერსონალი

- კარგად ესმის ინიციატიების მნიშვნელობა და წარდგენილიც აქვთ საკუთარი ინიციატივები კოლეჯის დირექტორთან,

  მაგ. პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამებთან დაკავშირებით, საახალწლო ღონისძიებებთან დაკავშირებით და ა.შ.

კვლევის მონაცემები

მასწავლებების მხრიდან, კოლეჯთან დაკავშირებულ საკითხებთან საკუთარი აზრის/შეხედულების თავისუფლად გამოთქმასთან დაკავშირებით განსხვავებული აზრი დაფიქსირდა, კერძოდ: 11 მასწავლებელი ამბობს, რომ იშვიადათ გამოთქვამს აზრს, 2 - არასდროს, 6 -ხშირად და 1 ძალიან ხშირად.



კვლევის მონაცემები

- საგანმანათლებლო დაწესებულებაში გუნდური მუშაობა ერთერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რაც ხელს უწყობს, თანამშრომლებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესებას, კრიტიკულ შემთხვევებში სწორ და მიზანმიმართულ დამხარების გაწევა/მიღებას და გამოცდილების გაზიარებას. ეს ყოველივე კი თავისმხრივ, ორგანიზაციის წარმატებულ და ეფექტიან ფუნქციონირებას უწყობს ხელს.
- *კვლევის მონაცემების მიხედვით 18 მასწავლებელმა 9 და 10 ქულით შეაფასა კოლეგებთან თანამშრომლობის მნიშვნელოვნება, ხოლო აბსოლიტური უმრავლესობა თვლის, რომ მათი პროფესიული განვითარებისთვის საჭიროა მჭიდრო თანამშრომლობა კოლეგებთან (ადმინისტრაციულ პერსონალთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან).*

კვლევის მონაცემები

- გასული სასწავლო წლის მანძილზე, შეხვედრების სიხშირესთან დაკავშირებით მასწავლებლების პასუხები მრავალეროვანია:



კვლევის მონაცემები

კვლევის ფარგლებში მასწავლებლებმა დაასახელეს საკითხები და ურთიერთობის ფორმები, რაც ჰქონიათ კოლეგებთან თანამშრომლობის დროს. უმეტესად დასახელდა:

- შეფასების სისტემის განხილვა;
- სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე, დოკუმენტაციის წარმოებასთან, მოდულებთან, კალენდარულ გეგმებთან დაკავშირებით სასწავლო გამოცდილების გაზიარება;
- ახალი პედაგოგებისთვის ხელისშეწყობა სასწავლო პროცესთან დაკავშიებულ საკითხებზე;
- სტუდენტები ლექციებზე დასწრების საკითხს;
- ლიტერატურის და სხვა რესურსების საჭიროებებს, და სხვა.

კვლევის მიგნებები

2021 წლის შემოდგომით განხორციელებული პერსონალის კმაყოფილების დონისა და საჭიროების კვლევის შედეგების შესწავლით გამოიკვეთა, 2021 წლის კვლევის მიხედვით 2020 წლის კვლევის შედეგებთან შედარებით მნიშველოვანი, სასიკეთო ცვლილებები მოხდა რიგი საკითხების შემთხვევაში: ინფორმაციის ფლობის, საჭიროებებთან და მათ საქმიანობასთან დაკავშირებით;

კოლეჯის პერსონალი გაცილებით სრულყოფილად ფლობს ინფორმაციას მათზე დაკისრებული უფლებების და მოვალეებების შესახებ, მაგრამ ზოგადი წარმოდგენა აქვთ ან საერთოდ არ აქვთ, სტრატეგიული განვითარების გეგმის, სამოქმედო გეგმის და კოლეჯის სხვა რეგულაციების შესახებ.

პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით კი მასწავლებლებისთვის მთავარ ფოკუს წარმოადგენს მხოლოდ საკუთარი სასწავლო პროცესი, და მის მიღმა არსებული საკითხები, რომელიც მათზე არის დაკისრებული არ დასახელებულა.

მასწავლებელთა უმრალესობა იცნობს სახედელებს, რომელიც შეიძლება მოვალეობის არ შესრულების შემთხვევაში გამოყენებულ იქნეს კოლეჯის მიერ.

მასწავლებლები არ ფლობენ და ვერ იგებენ რას ნიშნავს ინიციატივების წარდგენა კოლეჯის ადმინისტრაციასთან.

კვლევის მიგნებები

კვლევის მონაცემებით გამოვლინდა, რომ სასწავლო პროცესის მიმართულებით იკვეთება რიგი ხარვეზებისა, კერძოდ:

მასწავლებელთა უმრავლესობა ვერ ასახელებს სასწავლო პროცესის დაგეგმვისათვის აუცილებელ ეტაპებს და საკითხებს, და ამდროს აცხადებენ, რომ ყოველთვის , წინასწარ გეგმავენ მეცადინეობებს.

ცდომილება გამოიკვეთა სწავლების პროცესში ინტერაქტიული მეთოდების გამოყენების კუთხით, 19 მასწავლებელმა განაცხადა, რომ იყენებს აღნიშნულ მეთოდებს, თუმცაღა კონკრეტულად, რომელ მათგანს იყენებენ დასახელება ვერ შეძლეს.

19 მასწავლებელმა განაცხადა, რომ ისინი სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებს და მათგან მოლოდ 6 შეძლო დაესახელებინა ერთზე მეტი აქტივობა რასაც იყენებენ სწავლის პროცესში.

კვლევის მიგნებები

მასწავლებლის მიერ დასახელდა ტრენინგების საჭიროება, კერძოდ:

- პრიორიტეტულ საჭიროებად გამოიკვეთა კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართულების ტრენინგები;
- სასწავლო მეთოდების;
- კომუნიკაციების, ტექნოლოგიების;
- სიახლეების;
- სასწავლო პროცესის დადგეგმვის;
- მოდულების მიმართულებით.

ადმინისტრაციული პერსონალის მხრივ კი პროფილური ტრენინგების საჭიროება გამოიკვეთა.